

# საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის

## საგანგებო განცხადება

მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 2012 წლის 6 ნოემბერს შემოვიდა საგადასახადო ორგანო რევიზიის ჩასატარებლად.

მე დიდი სურვილი მქონდა ამ ბრფინგზე ყოფილიყო საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი, თუმცა ჩემი მოწვევის მიუხედავად, არავინ მობრძანებულა.

საგადასახადო ორგანოს შემოსვლა ბაღებს გარკვეულ კითხვებს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საზოგადოების ყურადღებას გავამახვილებ იმ გარემოებაზე, რომ მოყოლებული ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან, საგადასახადო ორგანოები შემოწმებაზე არ შემოსულან მაუწყებელში. მაუწყებელს ყოველთვის ამოწმებდა სახელმწიფო აუდიტი გეგმიური შემოწმების ფარგლებში და მორიგი ასეთი გეგმიური შემოწმება უნდა განხორციელდეს რამოდენიმე თვეში.

2. საკითხავია, არის თუ არა ეს რევიზია გეგმიური, ვინაიდან, საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მიერ არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული გეგმა და როგორც ზემოთ აღვნიშნე, საგადასახადო ორგანო შემოსულია უშუალოდ ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

3. ძალიან საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფინანსთა მინისტრის ბრძანება შემოწმების შესახებ გამოცემულია 6 ნოემბერს, იმავე დღეს საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები შემოვიდნენ შემოწმებაზე და ჯერჯერობით არც-ერთ ოფიციალურ პირს, იქნება ეს ფინანსთა მინისტრი, თუ სხვა უფლებამოსილი პირი, ამის თაობაზე არ მოუხდენია საზოგადოების ინფორმირება.

4. და ბოლოს, მათ მთხოვეს, რომ არ განმესაჯაროებინა ინფორმაცია რევიზიის შესახებ, რაც ყველაზე უფრო გაუგებარია ჩემთვის.

მიუხედავად გაჩენილი კითხვებისა, როგორც საზოგადოება არაერთხელ იქნა ინფორმირებული და არაერთხელ განგვიცხადებია, მაუწყებელი მზად არის ნებისმიერი შემოწმებისთვის, რის დასტურადაც ხელს ვაწერ შესაბამის ბრძანებას.